საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 128

07 09 2015 წელი

ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის7 სექტემბრის სხდომის N14 ოქმის მე-3 საკითხის შესაბამისად,

1. დამტკიცდეს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის ახალი შემადგენლობა: თავმჯდომარე **ზურაბ ჭონიაშვილი**. წევრები: **ქამილ ალიევი** - მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი; **კონსტანტინე გეგელიძე** - მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი; **გოჩა გოლოშვილი** - სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის მთავარი სპეციალისტი; **შადიმან გაგნიძე** - სსდ. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამსახურის ინსპექტირების განყოფილების მთავარი ინსპექტორი; **როენა ახობაძე** - მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი; **გიორგი კავლელაშვილი** - მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი. ასევე კომისიას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დაემატოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი და გამგებლის წარმომადგენელი

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ,, ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 დეკემბრის N271 განკარგულება.

3.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

4.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს ვალერი მეტრეველს.

ნაბი აბდულაევი
მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: